საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01/53

ქ.ბათუმი 30 ნოემბერი, 2022 წელი

ბსუ-ს სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების დაფინანსების თანხის ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში ასახვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის (MES 7 22 0001465750, 17.11.2022) სამსახურებრივი ბარათისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/09 30.11.2022წ) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ბსუ-ს სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების“ განხორციელებისთვის ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს დაფინანსება 30 000 ლარის ფარგლებში.

2. მიეცეს თანხმობა ბსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს 2022 წელს გამოცხადდეს 2023 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსი.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტსა და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი ჯემალ კარალიძე